საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 858/ი

19 09 2019 წ.

ქ. თბილისი

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 06 ივნისის №709676 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“:

ა) მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ. მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა ექსპერტს (გარდა საერთაშორისო ექსპერტისა) შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი

აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info@eqe.ge მეშვეობით შეატყობინებს ცენტრს შესაბამისი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე.";

ბ) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ. მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა ექსპერტს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info@eqe.ge მეშვეობით შეატყობინებს ცენტრს შესაბამისი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე.";

გ) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ. მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა ექსპერტს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info@eqe.ge მეშვეობით შეატყობინებს ცენტრს შესაბამისი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე.";

დ) 10-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ. მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა ექსპერტს (გარდა საერთაშორისო ექსპერტისა) შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info@eqe.ge მეშვეობით შეატყობინებს ცენტრს შესაბამისი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე.".

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბაღიშვილი